თამაში მაინც არ ჩანს

თბილისი. "ლოკომოტივის" სტადიონი. 9 აგვისტო.

"დინამო" (თბილისი) – "ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:0 (2:0).

"დინამო": ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი (ლ. ნოდია).

"ჩერნომორეცი": იარჩუკი, ლისენკო, რეშკო, ზუბკოვი, სირომიატნიკოვი, მოსკალენკო, სეკეჩი, გასპერსკი (შიმანოვიჩი), ბოკატოვი (ზვენიგოროდსკი), მასლოვი, ვარგა.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 1:1.

მატჩი "ჩერნომორეცთან" მოგებულ იქნა. ანგარიშიც საკმაოდ დამაჯერებელია და თბილისელებსაც მაინცდამაინც არ გასძნელებიათ გამარჯვება. გათამაშების ამ ეტაპზე, როცა საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების კონკურენცია სულ უფრო მწვავდება და თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თბილისის "დინამო" კი გარკვეული კრიზისის პერიოდში იმყოფება, ეს მოგება, თითქოს, ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს. მორიგი მეტოქე დამარცხებულია, 2 ქულაც არის, ე.ი. საგანგაშოც არაფერია.

მაგრამ ეს მთლად ასე არაა. მაყურებელი უკმაყოფილო წავიდა სტადიონიდან. მატჩი ჩატარდა დაბალ დონეზე, უინტერესოდ, აუარებელი ორმხრივი შეცდომით. თამაში აშკარად "მეორეხარისხოვანი" გამოვიდა და ამიტომ უპირველესი პრეტენზია "დინამოს" მიმართ გვაქვს: იგი შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერია, შინ ღებულობდა მეტოქეს და ამდენად ვალდებული იყო ტონი მიეცა თამაშისთვის. "ჩერნომორეცი" თვითონ გაარკვევს თავის ავსა და კარგს, ჩვენ კი ჩვენს გაჭირვებას უნდა მივხედოთ.

ურუშაძის სასაყვედურო არაფერი გვაქვს. მართალია, მას დიდი დატვირთვა არც ჰქონია, მაგრამ რამდენიმე სახიფათო მომენტში ზუსტად, დამაჯერებლად ითამაშა.

დამაკმაყოფილებლად მოქმედებდა ძოძუაშვილი. მან შეძლო ვარგას ნეიტრალიზება და ხშირად პოულობდა თავისი გუნდის შეტევაში მონაწილეობის შესაძლებლობას, თუმცა ერთი შემჩნევა მაინც გვაქვს. თუ მცველს საშუალება მიეცა გავიდეს ფლანგზე, აქ იგი ზედმეტად არ უნდა შეფერხდეს. გადაცემა საჭიროა შესრულდეს სწრაფად, დაუყოვნებლივ, რის შემდეგ მოთამაშე მაშინვე უნდა დაუბრუნდეს თავის ადგილს. ძოძუაშვილს ეს ზოგჯერ ავიწყდება...

კვლავ უსისტემოდ, სერიოზული ტაქტიკური და ტექნიკური შეცდომებით თამაშობენ ჩვენი სტოპერები კანთელაძე და რეხვიაშვილი. ყველაზე სახიფათო ცენტრალურ ზონაში ხშირად ირღვევა სინქრონულობა, ორივე სტოპერი ადვილად ტოვებს თავის ადგილს და საშიშ მდგომარეობაში აგდებს კარს. ამას გარდა მათი გადაცემები უმეტესად უზუსტოა.

დაცვის მარცხენა ფლანგზე ურიგო არ იყო ჭოხონელიძე.

ისევ და ისევ სასაყვედურო გვაქვს ნახავარდაცვის მიმართ. ილიადიმ, რომელმაც შესანიშნავად დაიწყო სეზონი და სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატთა

სიაშიც კი მოხვდა, როგორღაც უცებ დაკარგა ფორმა. იგი გამოეთიშა გუნდის საერთო სქემას, უკლო სისწრაფეს, აფერხებს შეტევების განვითარებას და მოპირდაპირე კარსაც ვეღარ უქმნის ისეთ ხიფათს, როგორსაც ადრე უქმნიდა.

პეტრიაშვილი ჩემპიონატის სხვა მატჩებში გაცილებით უკეთ გამოიყურებოდა.

ცალკე ასათიანის შესახებ. პირველი ტაიმი მან კარგად ჩაატარა და ბრწყინვალე გოლიც გაიტანა, მაგრამ შემდგომში, მეორე ტაიმში, მოდუნდა, ხშირად კარგავდა ბურთს, არ ჰქონდა საჭირო კონტაქტი პარტნიორებთან.

თავდასხმაში ყველას სჯობდა მეტრეველი, მაგრამ როცა ვამბობთ "ყველას სჯობდა", ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ იგი თამაშობდა ისე, როგორც ჩვენ გვინდა და როგორც გუნდს სჭირდება. მეტრეველი ახლა შორს, ძალიან შორსაა თავისი ნამდვილი სპორტული ფორმისგან. ჩვენ ვიცით, რო მისი ჯანმრთელობა ვერაა მთალად კარგად, რაც საგრძნობლად ემჩნევა მის თამაშს. ვეტერანმა უფრო სერიოზულად უნდა მიხედოს თავს, დაიბრუნოს თავისი ადრინდელი საგაზაფხულო ფორმა, ვინაიდან უამისოდ ჩვენს გუნდს ძალიან უჭირს.

არ გამოუვიდა ამ დღეს თამაში გ. ნოდიასაც, რომელიც არ იყო კონცენტრირებული, ხშირად გაუმართლებლად იცვლიდა ადგილს, მინდვრის სიღრმეში იმალებოდა და ამით ამოცანას უადვილებდა მოწინააღმდეგე დაცვას.

გაურკვეველ შთაბეჭდილებას ტოვებს გავაშელის თამაში. უმაღლესი ლიგის შარშანდელი საუკეთესო ბომბარდირისგან აჩრდილიც არ დარჩა. წლევანდელ ჩემპიონატში გავაშელმა თავის გუნდს სულ 2 გოლი შესძინა. მაგრამ საქმე მარტო ამ ფორვარდის მცირეშედეგიანობაში არაა. მან სრულიად დაკარგა კოლექტიურობისა და საერთო ურთიერთმოქმედების გრძნობა. ახლა გავაშელი თავისებურ "დამოუკიდებელ ერთეულს" წარმოადგენს, რომელიც ყოველმხრივ გამოთიშულია ანსამბლს. ბურთი მიაწოდო გავაშელს – ფაქტიურად ნიშნავს დაკარგო იგი, ვინაიდან გავაშელი მას, როგორც წესი, უკან აღარ აბრუნებს. გაუთავებელი დრიბლინგი, ბურთის ტარება, თამაშის ტემპის შეჩერება და, ბოლოს, ბურთის დაკარგვა...

ლ. ნოდიაზე ვერაფერს ვიტყვით. იგი მხოლოდ რამდენიმე წუთით გამოვიდა მინდორზე, მაგრამ გასაკვირია ერთი: თუ გავაშელის შეცვლა სურდა გუნდის ხელმძღვანელობას, ეს უნდა გაეკეთებინა ადრე, თუნდაც მეორე ტაიმის დასაწყისში, ლევანი კი ბრძოლაში ჩააბეს მაშინ, როცა საბრძოლველი დრო აღარც იყო დარჩენილი.

აი, ასეთი უხეირო შთაბეჭდილებები დაგვრჩა ამ მატჩიდან, რომელიც თბილისის "დინამომ" მოიგო. დავძენთ მხოლოდ, რომ ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა ასათიანმა, ხოლო მეორე გოლი მე-10 წუთზე გაიტანა მეტრეველმა.

ბ. ქორქია.

"ლელო", 12 აგვისტო, 1969 წ.